

K 5738



ბ  
1

აქესალიძე  
გოგიძე



ԱՐ



398

~~3158~~

6

phi g + 1

158

## ԱՃԵՍԱԲՐԱ ԷՎ ԵԹԵՀՈ

## სალხერი თქმულება

## ପ୍ରେସ୍‌ର ମିଳିବାନାଶ୍ଵରିଲୀଖ ଗାଲ୍‌ପାଣୀ



## ଓଡ଼ିଆ ଲାଙ୍ଘନିକ ପରିଚୟ

19 ଟଥୀଙ୍କିରଣ 38

1147.

## დაბადება ეთერ ქალისა

იყო ერთი დედაბერი,  
ჰყვანდა მეწისქვილე ქმარი;  
უნდა აღგვილიყვნენ ისე,  
არ გაეშოთ ნატამალი.  
ცოლი აუხირდა ქმარსა:  
„წალი, აკითხვინე მკითხავს,  
გაიგე, გამოიწვლილე,  
გეტყვის რასმე კარგს ანუ ივს.  
რა მიზეზით არ გვყავს შვილი,  
იქნებ იცოდეს წამალი,  
იქნება, რამე გვასწავლოს  
და მოგვეცეს მით სახსარი“.  
საწყალი ქმარი წავიდა  
და მკითხავსა აკითხვინა.  
ჯადოქარმა სამი ვაშლი  
მისცა და ესე ასმინა:  
„წალი ფრთხილად და ვაშლები  
სამივე წაილე შინა;“

რაც დაგაბარო, ისა ჰქმნა,  
 არ შეგაცდინოს არვინა.  
 როცა მოჰშივდეს შენს ცოლსა,  
 ორი მაშინ შეაჭამე,  
 ერთიც, როდესაც მოსწყურდეს,  
 ზეცის წყალობა იწამე“.  
 მაგრამ გზაში ქმარს მოჰშივდა,  
 ვეღარ გაუძლო შიმშილსა,  
 აიღო და ორი ვაშლი  
 შეჭამა, შეშლიდა პირსა.  
 რა მოსწყურდა, მესამეცა  
 შემოეჭამა ბედ მწირსა;  
 კანჭში ქალი ჩაესახა,  
 რა აღარ ჰვერდნობდა წყურვილსა.  
 მაშინვე კანჭი მოიჭრა,  
 გადააგდო შარა გზასა;  
 სუნი მოედინა ორბსა,  
 მოჰყორყინდა, შლიდა ფრთასა.  
 მერმე ჩასჭიდა ბრჭყალები,  
 წაიღო თავის ბუდეში;  
 ეთერ იშვა, ორბმა ჰნახა  
 და ჩაიხუტა უბეში.  
 დილით ორბი დაივლიდა  
 ყოველ კუთხით სამყაროსა.  
 რა საზრდოს ჰნახავდა — ეთერს  
 მიაწვდიდა, ვით პირმშოსა.  
 ქალი იზრდებოდა დლითა,

ამომავალი მზის დარი;  
 როცა გაიფურჩქნა, ხეზე  
 ჩამოეშო გულ დამკრთალი.  
 იარა და შეპხვდა ტყეში  
 ცალფეხა მეწისქვილესა;  
 კაცმა იშვილა ეთერი,  
 ჰმადლობდა ჰმადლესა.  
 ეთერის ქვისმა მამობილსა  
 მეორედ ექმნა ქორწილი;  
 შეერთო მეზობლის ქვრივი;  
 ქალ მოყოლოდა დუხვირი.  
 მაგრამ არ ჰქონოდა ბოლო  
 კაცს ბედშავს, საბრალობელსა;  
 საწყალს მზე დაპბნელებოდა,  
 მოპშორებოდა სოფელსა.  
 დედინაცვლისა ყანასა  
 ბრინჯაოს აღგა ნათელი,  
 ქარის წისქვილებ ჰბრუნავდა,  
 მესაფქვეთ ჰყვანდა ეთერი.  
 იმ ქვეყნის ხელმწიფის შვილსა,  
 სახელად აბესალომსა,  
 ეთერის სილამაზისა  
 ჰსმენოდა კარგ შესახედომსა.  
 მას აქეთ გულს სიყვარული  
 უკლავდა ეთერ ქალისა,  
 დადიოდა სანადიროდ  
 ტყეში ახლოს წისქვილისა.

დედინაცვალმა შეიტყო  
მიჯნურობა მეფის ძისა,  
გერი წისქვილს მოაშორა  
და მისცა საქმე მწყემსისა.

აშესალობში შაცონიშვილისაგან  
ნახვა ეთერი მიმდინარეობს

დილა იყო მშვენიერი,  
ცეცხლ გული უკრთოდა მზესა;  
რუს პირად სჯდა ეთერ ქალი,  
ზურგით მისწოლოდა ხესა.  
ადგა, პირი დაიბანა,  
მოჰყვა ნაწნავის ვარცხნასა,  
მოილო თითისტარ, მატყლი,  
არ დაიზარებდა რთვასა.  
დედინაცვლის მოცემული  
გვერდით ედო კუტი ბური,  
იქვე ჰყავდა საძოვებლად  
დედინაცვლისავე ფური.  
ეთერ მოსთქვამდა, ოხრავდა,  
თვალთა ცრემლსა უხვად ჰლვრიდა,  
ვაებასა და ტანჯვასა  
გულ მოკლული მოითვლიდა:  
„დედინაცვალი, თვალში ნაცარი!  
აქ ტყეში ვგდივარ მისგან ჩაგრული,

უნათესაო, ობოლ-ოხერი,  
 ბელისაგანაც წყეულ და კრული.  
 ნეტავი ვინმე გამოჩენდებოდეს,  
 გადამარჩენდეს ამ ვაგლას ყოფას,  
 ველირსებოდე ერთი ბედ იღბალს  
 და ჩემი დედინაცვლის დამხობას“.  
 სთქვა და კიდეც მიეძინა.  
 იმ დროს გაისმა მგზავრული.  
 აბესალომ სანადიროდ  
 იყო თურმე წამოსული.  
 მურმან ვეზირი, ამალაც  
 ბატონიშვილს მრავლად ახლდა;  
 ეთერის სილამაზისგან  
 აბესალომ დატუსალდა.  
 ამალა შორი ახლოსა  
 მეფის შვილმა დააყენა,  
 მივიდა მერმე ეთერთან,  
 უწყო გალვიძება ნელა.  
 ეთერ დაჰკრთა, რა იხილა  
 მეფის ძე, მისი ამალა;  
 მუხლის თავთა ძველი კაბის  
 კალთები გადაიფარა.  
 შემდეგ მორცხვად აბესალომს  
 შეპხედა და მძიმედ სდუმდა;  
 აბესალომ უალერსებს,  
 მისი ტრფობა გულით უნდა:  
 „მე ბანი ბანად გეძებდი,

შენ ბალი ბალჩად გეძინა,  
 გაგეხსნა ოქროს საკინძი,  
 ბროლის გულ მკერდი გეჩინა.  
 ეგ ლამაზი გიშრის თმანი  
 ვარდისებურ პირს გეფინა;  
 დაგინახე, მყის ავტირდი,  
 კურცხლად ცრემლი დამედინა.  
 ერთხელ მაინც მოგეხვევი,  
 თუ გინდ ამაგო ხანჯალსა.  
 ქალო, შენს ეგრე ყოფასა  
 დაგიდგამ ბროლის ჩარდახსა.  
 მურმან შურმა აიტანა,  
 აკვდებოდა თავის გულსა;  
 გულში ცეცხლი ენთებოდა,  
 ვერ იქრობდა მის ალმურსა:  
 „კაცსა გულუხვსა ეხლა შემექნა  
 გული ხარბი და გაუძლომელი;  
 ხელმწიფე შეჰვედა ტურთა საყვარელს,  
 იმის ვეზირს კი მწარ სატანჯველი“.  
 ეთერ ქალსა აბესალომ  
 აწვდის თავის ხელმანდილსა,  
 ისწრაფვის გულის მოგებას,  
 სიტყვას ეტყვის გულ ახდილსა:  
 „აპა მზეო, ხელმანდილი,  
 ოქრომკედით მოქარგული“.  
 „არა, არ მსურს ხელმანდილი  
 ოქრომკერდით მოქარგული“!

„ტურთავ, თუ გსურს ჯორცხენები,  
 აფხაზურებ შეკაზმული“?  
 „არა, არ მსურს ჯორცხენები,  
 აფხაზურებ შეკაზმული“!  
 მურმანს მეტად ეუცხოვა  
 სიტყვა ხემწიფიშვილისა,  
 იკვეხნიდა, იკითხვიდა,  
 სწადდა შეტყობა წვლილისა:  
 „მანდილით და ჯორცხენებით  
 დაყვავება საღა თქმულა?  
 ტურთა ეძებს ლომგულ მიჯნურს,  
 მხოლოდ მისგან მოხიბლულა!“  
 აბესალომ ეტყვის ქალსა,  
 ვერ აშორებს ტურთის თვალსა.  
 არ იცის, რა მოაგვაროს,  
 რა უყოს იმის უარსა:  
 „გადამაყოლე, ეთერო,  
 ევ შენი კაბის სახელი“.  
 „დამეხსენ, ბატონიშვილო,  
 არა ვარ შენი საფერი.  
 შენ ხარ დიდი, დიდებული,  
 დედ-მამითა ხარ ქებული.  
 მე ვარ ობოლ, ობლიშვილი,  
 ობლობით ვარ დაჩაგრული,  
 კაცის კანჭში ჩასახული,  
 შარა გზასა დაგდებული,

ორბის კლანჭით აღებული,  
ხის კენწეროზე კვებული.  
ჩემს ცოლობას რად იკადრებ,  
მეფობითა ხარ მორჭმული,  
სად მეფე, სად გლეხის ქალი,  
ჭირვარამ გარშემორტყმული?  
ვა თუ თავისა იკეთო,  
გამიშო წყალ წალებული,  
მაშინ ეთერ ქვით ჩამქოლონ,  
ნამუსზე ხელ აღებული“.  
„არა, წყალწისქვილ ქვიშამა,  
არ შევირცხვინო პირია,  
თუ გული ჩემზე გექმნება,  
მით მოიშორო ჭირია.  
რა ლამაზი ხარ, ეთერო,  
რა მომხიბლავი ფერისა,  
სალოცველია კაცთაგან  
ნაბანი შენი ხელისა“.  
ეთერმა ფური გალალა,  
ამოეფარა გორასა,  
აბესალომიც თან გაჰყეა,  
კვალს უდგა იმის სრბოლასა.  
მურმანი გულ ჩათუთქული  
ეახლა ბატონს ხლებითა,  
რა გადასწყვიტა წართმევა  
ეთერის დამუქრებითა:

„წყალ წისქვილქვეშაცჲარ დავითიცო,  
ისემც ველირსო სატრფოს დახსნასა,  
ულვაშ შერცხვენილ, ლაჩარი ვიყვე,  
თუ ვერ ვეწიო შენს დაჯაბნასა“.

### აშესალომის მისვლა ეთერის ღეგინაცვლისას

დედინაცვლის კარმიდამო  
ეთერმა დააკრიალა  
და სკამლოგინზე წამოწვა,  
რა ოჯახში იტრიალა.  
გულბოროტ დედინაცვალსა  
მაინც არ მოსწონდა გერი,  
წამოწოლილი რა ჰნახა,  
თავს დაათხლიშა მეწყერი:  
„ეთერო, სჯობს ფურს გაჰყვეო,  
მანდ გვერდზე წამოწოლასა,  
თორემ რაც შავი დღე გადგა  
უარეს ჰნახავ ძრწოლასა.  
ქალი დამირჩეს გვერდითა  
უბედო, გაუთხოეარი!  
შენ ვინა გდიხარ, იძახი,  
მომცაო ნეტავ ილბალი“!  
„იმ ფურსა აღარ გავყვები,  
ვინც გინდა გააყოლეო,

ან რას გიკეთებს ის ქალი,  
 აფთვალა და მეჭორეო“?!

„არ. წახვალ? პირში ფუ მიყავ,  
 არ დაგითრიო თმებითა,  
 არ დაგიყარო ხორბალი,  
 ჯანი გაგვარდეს კრეფითა“!

სოქვა და ბრაზი მოერია,  
 მიჰვარდა საბრალო გერსა,  
 ტანთა რბილი დაუჩქმიტა,  
 მერმე მოჰშორდა მზე-ბნელსა.

აბესალომი მივიღა  
 ეთერის კარს ამალითა,  
 მოიკითხა საყვარელი,  
 დადგა მის წინ კალათითა.

„ეთერო, შენსა ღალატსა  
 რა კაცი უნდა შეუდგეს?!

გამჩენი ციდან ცეცხლსა ჰყრის,  
 ქვეშ აბესალომ უნდა სდგეს!  
 ომში ხმალ ამოლებულსა  
 ვადაშიმც გადაშიტყდება,  
 ბარად ცხენ-გაჭენებულსა  
 ავუანდა ჩამომიწყდება,  
 იალბუზის მინდორ-ველში  
 ქარიშხალიმც ამიტყდება,  
 ურწყულსა ალაგსა წყალი,  
 ზლვა იყვეს, ამომიშრება!  
 შვიდი დღის გზასა მავალსა



საგზალიმც ნულარ გამყვება!

ქვის ჭალას ვფიცავ, თუ გავსტეხ,  
ოჯახიმც დამეღუპება.

მუხლებზე ნადები თოფი  
უბეშიმც დამიბრუნდება,  
ფალიას ცეცხლით ო ტყვია  
გულისად გაზუზუნდება.

ქალო, აქეთ შემომხედე,  
ხელში მიჭირავს კალათა,  
შენმა ცქერამ და ყურებამ  
მე გული გამიხალვათა“.

სთქვა და სწრაფად ამოილო  
კალათაში ოქროს დანა,  
ნიშნად მისცა პირად მზესა.  
ქალმა უთხრა, არ ახანა:

„რაც გსურდეთ, ჰბრძანეთ, ნუ სწუხართ,  
თქვენი ასრულდეს აწ ნება.

მეც ვმადლობ დიდად გამჩენსა,  
მომეცა რადგანც დღეს შვება.

დაგემონები გულითა,  
თავით, ტანითა, სულითა;  
ესე არა მაქვს იმედი,  
მეფე გაწბილდეს ტყვილითა.

არ ვეცრუები მეფესა,  
ვითა მდაბალი ბუნება;  
საითაც გსურდეთ, წამოგყვეთ,  
ვითა გაწვევდეთ გუნება.



ამ პურმა და ამ მარილმა,  
 ამ ღვინომა ვაზისამა,  
 სახნისმა და საკვეთელმა  
 გაწეულმა ხარისამა;  
 ამ წყალმა და ამ წისქვილმა  
 ზედ მოფენილმა მზისამა,  
 შენს მეტი არავინ მინდა,  
 ფიცმა რა ჰქმნას ქალისამა“.  
 პაემანი ცოლქმრობისა  
 ქალვაჟთ ფიცით განამტკიცეს,  
 მოეხვივნენ ერთმანეთსა,  
 თავი ერთ ხანს დაივიწყეს.

### აშესალობის ღა ეთერის ღაგვირ- გვირაშა

დარბაზობაა. დარბაზი  
 მოურთავთ ფარდაგებითა,  
 ტახტი დაუდგამთ მეფისთვის  
 ძვირფასი ანაგებითა.  
 აბია, მეფე ქართლისა  
 ზედ ჰზის მხნე, ქარმაგოსანი,  
 მხარსა უმშვენებს ნათია,  
 დედფალი ქველსხიოსანი.  
 ტახტის მხარმარჯვნივ დამდგარან  
 კარის კაცთ დასთა კრებული,



210

მხარ გარცხნივ სეფე ქალები,  
ქვეყნის თვალია და გული.


მათ წინა შეფის ასული  
ცქრიალა მარიხ ვარსკვლავი,  
თვალად მნათობი ზეცისა,  
გულად კეთილი, არ ავი.

აბესალომ და ეთერის  
მოსვლას ელიან ზარითა,  
მგოსნები ქებას შეასხმენ  
ეთერს წინწილით, ქნარითა.

”გლეხის ქალი დღეს დედოფალია, ქველი, ჭირთა მძლე, სატურფალია! ერთია მისთვის ბატონი და ყმა, ქვეყანას მოსდო სათნოების ხმა. იქოს ნაყოფი მისი მარჯვენის, აღარ მოჰშლოდეს მზიანი დღენი“! შეწყდა თუ არა ხოტბის ხმა, გაისმა მწყობრავ მაყრული.

კარი გაიღო, გამოჩნდა  
პატარა ქალვაჟთ კრებული.  
ხელთ კელაპტრები ეჭირათ,  
ვეღარ დაექრო ნიავსა,  
პირსავსე კალათებიცა,  
ფშვინება გაჰქინდა იასა.

მოდიან, ყვავილთ უფენენ  
აბესალომს და ეთერსა,  
ხელკვერთხიანი მოხუცი



წინ უძლვის, იდებს გულს ხელსა.  
 შუბლს უმშვენებდა ეთერსა  
 ჯილა უთვალავ თვლიანი.  
 აბია მეფე დედოფლით  
 ძირს ჩამოვიდნენ სვიანნი.  
 რა მოიხადა გვირვინი,  
 დაადგა აბესალომსა,  
 მეფედ აკურთხა მემკვიდრე,  
 ხმალი შეარტყა წელთ ლომსა.  
 ალარ ეწადა მეფობა  
 ვაჟის მომსწრესა მამასა,  
 დალოცა ვაჟიც, რძალიცა,  
 ხმა კიდევ შესწევს მამაცა.  
 „გაბეღნიეროთ გამჩენმა!  
 მენახოს თქვენი ვაჟია,  
 თუნდ მოვკვდე, ალარ ვინალვლი,  
 თუმცა გული მაქვს კაჟია“.  
 დარბაზი მხიარულებას  
 იმჩევს, არა თუ გმობასა.  
 ხმატკბილად მოჰყვნენ მგოსნები  
 მეფე-პატარძლის მკობასა:  
 „მეფესა და დედოფალსა  
 ვერვინ ჰბადლობს დღეს ამ ქვეყნად,  
 ლომის ლეკვის ლომად ქება  
 ნუ თუ ჩამოვგართვან კვეხნად?  
 დედოფლად ქალის მონახვა  
 გლეხთ გვარშიაც შეიძლება,



დარბაზშიაც, მიწურშიაც  
 ტურფა სწორად იპოება“.  
 მესტვირეც კრძალვით წამოდგა,  
 ჩაჰერია თავის გუდა-სტვირს,  
 დარბაზის ერსა უცქერის,  
 არ აშორებს თვალს იმათ პირს:  
 „მენახოს აბესალომის  
 მტერთაზედა გამარჯვება!  
 როგორც მის ლამაზ თვალებსა,  
 მის ლომგულსაც უნდა ქება!  
 ეთერი ეთერიანი  
 დედოფალია მზიანი!  
 იცის ქვრივ-ობლის გაკითხვა,  
 ქალია კეთილ დღიანი!“  
 აბესალომ და ეთერი  
 ლიმით უმზერდნენ მესტვირეს.  
 ულოცავდნენ ერთმანერთსა,  
 სვე ბედი არ გაიკვირვეს:  
 „ზეცამ კარგად აგვისრულა,  
 რაც ერთმანეთს ჩვენ შევთიცეთ.  
 ურთერთ გვაშოროს ძულება  
 და ტრფობითა ვიყვნეთ მტკიცედ“.  
 გაშლილ სუფრასა მოუსხდნენ  
 ყველანი ხარისხ-ხარისხად;  
 პურის ჭამა აქვს მეფესა,  
 წყალობად მზადა, არ რისხვად.  
 ჩაკრულოს მოსდევს სუფრული,

კვლავ სხვა სიმღერა მათ ატკბობს,  
გულწრფელად მარის ვარსკვლავიც  
რძალ-ძმასა ჰლოცავს და ამბობს:

„მიძედნიერე, ზეცაო,  
ჩემი ძმა, ჩემი რძალია,  
დღეგრძელ ჰყავ, ჰნახონ სიბერე,  
აშორე ავი თვალია“.

ეთერის ბედი მეფის ქალს  
თავის ბედს გამოუხატავს,  
იტყვის დამწველის ეშხითა  
და ხელით მკერდს დაიფარავს:

„შუქურ ვარსკვლავი გაგიღებს  
ბედის კარს, შვილო, მალეო,  
გულმკერდი მადლით აგევსო  
იხარე, ჩემო მოვარეო!

რაც დედამ მითხრა ეს სიტყვა,  
ოცნება შვებას არ მაძლევს.

დავეძებ სწორსა სულისას,  
გული იმისკენ მიიწევს.

შუქურ ვარსკვლავო, მომეცი  
მაშ ბედი, დედის ალთქმული,  
შენს მარის არ დაუჩაგრო  
ცხოვრების სიმწრით ეს გული“.

მარის რა მორჩა, კახური

მრავალეამიერ გაისმა,  
ლილინი გულთ მოსალხენი,  
ბევრმა ისმინოს გაისმა.

მგოსანთ შესწყვიტეს სიმღერა,  
 შეიქნა ცეკვა ქალ-ვაჟთა.  
 ზოგ ვაჟთა ჩაცმა ჩაქური,  
 ზოგთაც კახური სჭრის თვალთა.  
 ქალთა საცმელად ტანისა  
 ღია ფერადი ქსოვილი,  
 გულ-მკერდის ნაკვთად მჩენელი  
 და ოდნავ გულამოჭრილი.  
 ვით ზედა ტანი, მათ ჰქონდათ  
 ვიწროვე კაბის სახლები,  
 ფეხთ შავი ეცვათ საცმლები,  
 უჩნდათ მაღალი ქუსლები.  
 წელთ შემოერტყათ სარტყელი  
 მოკლე, მარყუჯად შეკრული,  
 გულით ბოლომდე ჩასდევდათ  
 შავი ღილები დასხმული.  
 შავშავი ღილი სახლებსა  
 იდაყვით მაჯამდის ჰქონდა,  
 ზედ ყოში გადმოკეცილი  
 მკერვლისა ხელსა ჰმოწმობდა.  
 თავსა ეხურათ მერდინი  
 თეორი წმინდა ქსოვილისა,  
 შიგნით შავ შუბლსაკრი ჰქონდათ,  
 მხართა ბოლო მერდინისა.  
 ერთს ეცვა ქამხა ატლასი,  
 ნაქარგი ოქრო მკედითა,  
 თავს ქუდი, თავწვეტიანი,

ეხურა შემოკეცითა,  
 წინ რო იყო ორ-ორ ქიმად  
 გამოჭრილ, შემოტეხილი.  
 გულ-მკერდს, უფრო მის კიდეთა,  
 ეყარა თმები გაშლილი.  
 ორთავ ხელთა უმშვენებდა  
 მას ორ-ორი სამაჯური.  
 ბრჭყვიალა თვლებით შემკული,  
 უცხო რამე საცნაური.  
 ცეკვის ღროს მარჯვენა ხელში  
 ჰქონდა თეთრი ხელმანდილი,  
 აშია გარშემოვლებით  
 და ყურებ ძირს ჩამოყრილი.  
 მეორე ხელი ღოინჯად  
 ჰქონდა წელზე შემოკრული,  
 მარტო უვლიდა დავლურსა,  
 ყველასგან დიდად ქებული.  
 ცალკე კიდევ სამაიას  
 თამაშობდა სამი ქალი  
 ხელიხელ ჩაკიდებითა,  
 ერთი ხელმანდილ მჭირალი,  
 ისიც ყურებ ძირ ჩამოყრილ  
 იყო გარშემოქარგული,  
 ისიც თეთრი სანახავად,  
 ვარსკვლავებით დასითული.  
 ქალვაზნი წყვილად, წყვილ-წყვილად  
 ცეკვავდნენ მარდად ქართულსა,

აჭარნი ხორუმს, გურულნი  
სართულთ მოწყობით ჩაქურსა.  
მაგრამ უცბათ შეწყდა ციკვა,  
მდუმარება გაცამეფდა,  
აბესალომს მოეკითხა,  
უვეზიროდ ვეღარ სძლებდა:  
„სად არის ჩემი მურმანი?  
არ გვიზის სუფრის თავსაო!“  
„მეც აქ გახლავარ, ბატონო,  
ეხლავ დაგიკრავ თავსაო“.  
მოარულმა, ვითმა გიუმა,  
მეფეს პასუხი ასმინა.  
თვალი რა მოჰკრა ეთერსა,  
ერუანტელმა გაურბინა:  
„ნეტავი მომცა მის თავი:  
თავი არ მებას ტანსაო!  
ვინ არის კაცი ისეთი,  
ეს შეაძულოს წამსაო?“  
თავისთვის სთქვა სურვილითა  
და მიუახლოვდა მეფეს.  
შუშპრობა რა კვლავ გაჩაღდა,  
მგოსნებმაც სიმღერა მოჰრთეს:  
„შევარდენი და მიმინო  
ორნივ ნავარდს ჩვეულაო.  
დავლა ორთავ შეუძლიათ,  
ვაჟა იყვეს, თუ ქალაო.“



ქალავ, კარგად დაუარე,  
შენი ეშხით ვაჟის მწველო!  
ვაჟავ, კარგად დაუარე,  
შენგან დამწვარ ქალს უშველო“.

### ბურმანის და მელიაზრ ეშპაკის შეცვერა

მურმანის ციხე-დარბაზსა  
მთა ამშვენებდა ტყიანი;  
ხმა იყო ელვა-ჭექისა,  
ცა ირყეოდა მტვრიანი.  
ციხე-დარბაზის არესა  
შეიქნა ტეხა მეხისა,  
ნაპრალში ნაკვთი ამოძვრა  
თვით ბელიარ ეშმაკისა.  
შეეტყო ტანჯვა მურმანის,  
ჰსურს შველა მის ვერაგულად,  
მიდგა კუთხეში მაღლობზე  
და მოჰყვა თავისებურად:  
„შევსცდი, ვშევ ბნელმა ნათელი,  
მას აქეთ თან დამდევს მარცხი,  
იქ გაცლა, საღაც არა სჯობს,  
არ მჯერა, ხელთა მაქვს ფარცხი.  
წილმა ხნულსა უკუ ვფარცხავ,  
დავძრწი სულის დასაპყრობად,

ვნუგეშობ, რომ კაცი ცხოვრებს  
 მხოლოდ თავის დასალუბად.  
 შეცდომით დაბადებული  
 შეცდომით განვლის სოფელსა,  
 მაგრამ დახე, რომ სიკვდილსაც  
 შეცდომითვე ჰპოებს ბნელსა.  
 მურმანიც აუტანია  
 ბედშავსა ბედის წერასა...  
 სატრაფოს გულ-მკერდის შოვნისთვის  
 მეყმობა მრავალ ჯერასა“.  
 რა დაცხრა რისხვა ბუნების,  
 მურმანმა ჩამოიარა.  
 მოყმენი თანვე იახლა,  
 ოხრავს, ჰქონავს გულის იარა:  
 „ამომავალსა მზეს სწუნობს  
 ეთერის ეშჩი, სიტურფე,  
 მაგრამ მზე ეთერიანობს,  
 ვწუხვარ, არა ვარ მეც მეფე.  
 რა ვქნა? რა ჭირსა მივეცე?  
 სად არის ჩემი საშველი?  
 უძლურმა უბედობაში  
 ვის გავუწოდო მე ხელი?  
 ზეცას ვსთხოო? რად ინდომებს  
 მათ გვირგვინის დაგმობასა?  
 ქვესკნელს ვსთხოო? იგი მომთხოვს  
 ჩემ გლახ გულის მონობასა!  
 მერმე ვნახავ კი სულიერს,

ეთერ მზე ქალას შემყაროს?  
 ოლონდ ამიხდეს ეს ნატვრა,  
 ცხოვრება თუნდ გამემწაროს!  
 მუზდი, რაც იყვეს, გავიღო,  
 სულიც კი არ დავიშურო,  
 ოლონდ ეთერსა შევსტრფოდე,  
 უცხოსკენ არ გავიყურო.  
 დე შურმა გაიმარჯოს,  
 შეიგინოს სიყვარული,  
 ვინჯა მიმწევს საწადელსა,  
 მან მიაღოს ჩემი სული“.  
 მიუახლოვდა ბელიარ,  
 სალამი მისცა საცდური,  
 თავი დაუკრა თავმდაბლად,  
 ჰკითხა, დაუგდო რა ყური:  
 „საიდან მოხვალ, მურმანო,  
 და საით მიემგზავრები“?  
 „ეთერის შკლავს სიყვარული,  
 დავდივარ განამწარები.  
 ეთერს თუ მომცემ, მიშოვნი,  
 აქავ დაგიდებ ალთქმასა,  
 შვილით შვილამდე გმსახურო,  
 დავემორჩილო შენს ხმასა“.  
 „ვიცი, დამიდებ ალთქმასა,  
 შვილით შვილამდე მმსახურო,  
 საქმე კი ისეთი გახლავს,  
 რაც გთხოო, არ დაიშურო“.



”ମେତୀ ହା ଯୁଗ, ସ୍ଵର୍ଗପ୍ରେମ,  
ତ୍ୱାତ ଦାସଦ୍ୱୟ ସ୍ଵର୍ଗତା କ୍ଷେତ୍ରାଶା,  
ମିତ ଧେଇ ଫାଲମା ଦାଦରୁନ୍ଦୟେ,  
ଏହି ବେଦ୍ୟକ ସବ୍ରାଗ୍ରାମ ଫେରାଶା“.

”ତୁ ଦେଇଦିଶେନୀର ସ୍ଵର୍ଗ ମନପ୍ରେମ,  
ଗୁଣିର ଫାଲିଲ ଆଗିବନ୍ଦ୍ୟେ;  
ଫାମାଲ ବିପି ନିଃତି,  
ଫମାରମା ପ୍ରାଣର ତ୍ୱାତ ଗାନ୍ଧମନ୍ଦ୍ୟେ“.

ମୁଖମାନୀ ତାଙ୍କାରି ଦାୟତ୍ୟ,  
ହା ଦେଇର ସ୍ଵର୍ଗ ଉଥେନା,  
ଦେଇରିଶା ମୁଦ୍ରା କ୍ରମିଲିଶା  
ଦା ଦାଶକା ତାଙ୍କିର ଜ୍ଞାନା:

”ସାଜିଶେ ମିତିର୍ଯ୍ୟର ଶାନ୍ତିଲାଶ,  
ଫାମାରତମ୍ଭୟେ ତାଙ୍କା ଦା ଶ୍ରୀମନା.  
ପ୍ରାଣ ବନ୍ଦୋଦୟ, ମାଗରାମ ବେରାଜିନ  
ଅଳମିତକ୍ଷାମି ସବ୍ରା ଦେଇର ଶ୍ରୀମନା.  
ଶାରିତ ଜନକାବ କି ନୁହେଇ?  
ବେରା! ମିତିବ୍ୟାପ ପ୍ରେପକ୍ଷି କ୍ରମିଲିଶା.  
କିମ — କାହିଁ, ଏହା — ଦା ଯି  
ବ୍ୟେଦର ଯୁଗେ କ୍ଷେତ୍ର ପନ୍ଥିଶା“.

”କ୍ଷୁଣ୍ୟମାନବ? ଗିକ୍ଷିରିଶ? ସବ୍ରା ରିଗବିଦ  
ବେର ମିତିପଦ୍ଧତି ଶାତ୍ରମାନ ଗୁଣିଶା“.

”ଉଦ୍‌! ତୁ ସବ୍ରା ଲମ୍ବନ୍ତ ଏହା ହାନି,  
ମନ୍ଦଗାରତମ୍ଭୟ ଦେଇର ସ୍ଵର୍ଗିଶା“.

ସତ୍ୱର ଦା ମନ୍ଦର୍ଦ୍ଦୟବ୍ୟେଲତା ମନ୍ଦଗାରତମ୍ଭୟ  
ମାତ୍ରମାନିଷ ଶାତ୍ରମାନ-କାଲାମି.

ମୁଖମାନମା ଉଦ୍‌ଦିଶ କୁଳାଲଦିଶେ

დასწერა ფიცი ნათქვამი.  
 ფიცის წერილსა მაშინვე  
 რა მოაწერა ხელია,  
 ბელიარს მისცა ცახცახით,  
 არ ჰერძნობს, ბედ უშურველის.  
 ეშმაქმა გულის სავსებით  
 რა ჩაიბარა წერილი,  
 მძიმედ ვაღასცა მაჯუნი  
 და უთხრა სიტყვა საფრთხილი:  
 „ესე მაჯუნი წაიღე  
 და შეაჭამე ეთერსა;  
 გულისა ზაფრა დასჩემდეს,  
 გაუყვითლებდეს ელფერსა“.  
 უთხრა და გაუჩინარდა.  
 მავნეს გული აქვს საგულეს;  
 მურმანის გულში კი მრავლად  
 შავ ფიქრთა დაისადგურეს.  
 ციხე-დარბაზის კარებში  
 გამოდგა ნაანა ქალი,  
 მურმანის დედა-შვილისთვის  
 თავის დადებად მხად არი.  
 მხარ მარჯვნივ უდგა ცხრა ქალი,  
 მხარ მარცხნივ იმდენი ვაუი;  
 გულითა მიჰყვნენ სიმლერას  
 სთქვან, თუნდ იხადონ კვლავ ბაუი;  
 „ცხრა-ცხრა ვყევართ ჩვენს დედმამას,  
 ზედ მეტად კიდევ მურმანი,



ის გვიფარავს, ვერას გვავნებს,  
მტერი იყვეს და დუშმანი,  
მოვდივართ, მოგვიხარიან,  
ბედი გვიცინის ყველასა,  
ვცხოვრობთ ბუნების წიაღად,  
ვეწევით მუდამ ლხენასა“.

მურმანმა პირი იბრუნა  
და მიეგება დედასა,  
შეჰქედა, თვალთ ჩააცემდა,  
უთხრა; ვერ უძლებს ბნედასა:  
„შეშლილვარ ეთერ ქალზედა!  
არ ვიცი, რა მეშველება.

იმისი ტრფობის ალმურით  
ვიწვი, რა გულსა მედება“.  
„წალი, შვილო, და მოსძებნე  
წამალი თავ ბედშავისა,  
მეც შენთვის მოწადინე ვარ,  
არა ვჰყო ზოგვა თავისა“.

„წამალი კიდეც ვიშოვე!  
საქმე ჭირს! გაგიძნელდება“!  
„როგორ თუ ჭირსო? მოხერხდეს,  
სულიც კი არ დამნანდება“!  
„დედაჯან! რახან ეგრეა,  
სულიც კი არ დაგნანდება,  
წამალში შენს სულსა მთხოვენ,  
არ მივსცე, დამიშავდება“!  
„შეილოჯან! ეხლავ დავუთმობ



ჩემს სულსა, ვინცა იქნება.

უმაღლ მე მოვკვდე, დავმიწდე,

ოლონდ მოგეცეს „შენ შვება“.

უთხრა და შვილს მოეხვია,

ტრთობის სევდისგან გულმოკლულს,

არად ჰრაცხს მისთვის სიცოცხლეს,

მის სახსრად სწირავს თავის სულს.

### არისალობისგან ეთერის გამჭვერა

საწუთოომ აბესალომსა

მამა მოსტაცა ლვოიანი.

იმისთვის, იმის დედისთვის,

დარი არ დარობს მზიანი.

რას იფიქრებდა, თუ კიდევ

განიცდიდა მის მუხთლობას,

გაეყრებოდა სატრთოსა,

ჰნახავდა სულით ობლობას.

აბესალომის დარბაზსა,

დიდრაჯულ, მძიმედ მორთულსა

შეყრილა მეფის სახლობა,

მურმანი უგდებს სხვებს ყურსა.

ეშმაკის წამალმა გასჭრა,

სიყვითლემ დაჰკურა ეთერსა,

აბესალომი თავს ადგა,

არ ჰშურს, მოექცეს მეწყერსა.

გულს დასჩნევია წყლულება.  
 სევდის და დარდის ამშლელი,  
 მოსთქვამს თავისთვის საბრალოდ,  
 ვითა უცნობო და ხელი:  
 „ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად  
 ბედშავ ჩამაგდო ამ სატანჯველში,  
 წინათ დოვლათი, ავლადიდება,  
 ამაო მიჩანს ეშმაკის ხელში.  
 მეფობა ჩემი, ღიღებულება  
 ეხლა ვინ უნდა გაიზიაროს?  
 თავსა ვვრძნობ ობლად, გულით ვარ მარტო,  
 მზე ჩაესვენა! რამ მიმშუქაროს?  
 ძვირფასო ეთერ, დაგკარგე,  
 უშენოდ ჩემთვის მზე ბნელა!  
 სულმგულ ვარ შენით, მნათობო,  
 უშენოდ დავდნე ნელნელა!  
 გული იდუშალ ჩამძახის,  
 უჩემოდ ვერც შენ იხარო,  
 ეთერო, შენი სიკეთე,  
 მაწვევს, გაგიშვა, ვიჩქარო,  
 რა ვიქნე მარტო, თუ გაგეყარო,  
 მე მოკვდე, ოლონდ შენ გაიხარო.  
 თაო ბედშაო, პირო მზე ბნელო,  
 როს ეთერ გშორავს, დღე გაიმწარო!“  
 ეთერის ტანჯვა დარბაზის  
 ქალ-ვაჟთაც უკლავდა გულსა.  
 მას უკან ზარით მოსთქვამდენ



იმის ბედ დამწვარ დაგულსა:

„რა დრო დაგვიდგა, რას მოვესწარით?!“

ლხინი დასრულდა ნალველ სიმწარით!

ეთერი ქალი გვირგვინოსანი,

ვარდი გაგვიხდა ყვითელ ზაფრანი!“

იქ კიდევ აბესალომსა

თვალთ ცრემლი, ოხვრა არჩობდა,

კარის ხალხთ ზარსა საზარსა

აძლევდა ბანს, რა ამბობდა:

„მიშველეთ, ეს რა შემემთხვა,

რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე“?!

„მეფეო, გითხარ, არ ლირსვარ,

დედოფლად გოგო დავბძანდე.

გამიშვი, ველად გავიჭრა,

ნაღირის მსგავსად ვიარო,

ვით ვიყავ წინეთ ტანჯული,

იმავე სახედ ვიარო“.

უთხრა ქვითინით ეთერმა

საყვარელ ქმარს გულ დამწვარსა.

აბესალომმა მიუგო

მაშინ ცოლს, ელფერ გამჭრალსა,

„მზეო, რად მომქალ მაგის თქმით?

როდი მსურს! შენი წამება!

ზეცამ მოჰკითხოს, ვისგანაც

დაგვატყდა თავსა ეს ვნება“.

იმ დროს გამოჩნდა ბელიარ,

სალამი მისცა მეფესა,



მივიღა პირფერობითა  
 უთხრა მტრის სისხლთა მჩქეფესა:  
 „მეფევ, მებრალვი, გარწმუნებ,  
 მისთვის არა ვსწევ თნევასა,  
 ეთერ რად გინდა ტანჯული?  
 გაუშვი, გდია წყევასა!“  
 სწუხლა შვილთანა აგრეთვე  
 ნათია დედოფაალიკა,  
 რა მოვლამ ეთერს არ არგო,  
 უთხრა შვილს და თავში იცა:  
 „შვილოჯან, ვერ ველირსენით  
 მის ფერზე მოყვანებასა,  
 გავუშოთ, უმჯობესია  
 ყოფნას უძლეველ სწებასა.“  
 მაშინ გადუწყდა იმედი  
 უბედურ აბესალომსა,  
 გულ ამომჯდარი სტიროდა,  
 იტყოდა გულ ჩასაწვდომსა:  
 „ვის გინდათ ქალი ეთერი  
 თავს ოქროს გვირგვინოსანი.  
 ცხრა ნაწნავ გიშრის თმოსანი,  
 გიშრისვე თვალ წარბოსანი?“  
 მყის მიუჩოქა მეფესა  
 გულმოცემულმა მურმანმა  
 და ბოლოს ჰქადრა რწმუნებით,  
 რა ალარ არგო ყოყმანმა:  
 „მე მინდა ქალი ეთერი,

۸۰

თავს ოქროს გვირგვინოსანი,  
ცხრა ნაწნავ გიშრის თმოსანი,  
გიშრისვე თვალ წარბოსანი.  
ოლონდ არ გაწყრეს ბატონი,  
ეთერს წუთს შვება მიეცეს,  
მადლს მოვახსენებ გულწრფელად,  
ჩემზე ერთგულ ყმას ვერ ჰპოებს“.  
„რახან ჩემ მზესაც სწადია,  
მეცა მივყევი ნებასა“.  
„ეგება ბოლოს გიბრალოს  
ცამ ისევ მიგცეს შვებასა“,  
სთქვა რა მარიხმა, სხვა ქალთაც  
დაჭნანდათ ეთერ საბრალო,  
მეფის მაგალითს მიჰბაძეს,  
დღე აღარ უდგათ სადარო:  
„ეგება გამჩენს ეგ სწადდეს,  
რად მოჰკვდეს აქ დარჩენითა?  
იქნებ თვალით ქვლავ იხილოთ,  
ეთერი სალი ჩენითა“.  
მურმანმა ხელი მოჰკიდა  
ეთერ ქალს ცოცხლივ გაყრილსა,  
მიჰყავს თავისთვის საცოლოდ,  
მეფე სტირს, იხოვს თავპირსა.



४५६

## ၇၈၈၈ မိန်မင်းကျော်

მურმანმა გადაიხადა  
ქორწილი სახელოვანი.  
ყველანი დაიპატიქა,  
ვინც იყო მოყვე, მხცოვანი.  
სუფრას, გაშლალსა ცხრა დღესა  
ნადიმად უსხდნენ წვეულნი;  
მხიარულებდნენ, იშვებდნენ  
ისე, ვით იყვნენ ჩვეულნი.  
მორჩენა ეთერ ქალისა  
მურმანის სახლს უხაროდა,  
გული კი ნადედოფლარსა  
უკვნესდა და უტიროდა.  
თავის ქმრის ციხე-დარბაზის  
ბანზე დამდგარა ეთერი,  
უგალობს პირველ სიყვარულს,  
არვინ ჰყავს ყურის მგდებელი.  
„დედამთილ-მამამთილი,  
ცხრა-ცხრა მულ-მაზლი მახლავს,  
ქმარიცა მყავს ვეზირი,  
მაგრამ გულს რაღაც მიკლავს.  
არ მაკლია პატივი,  
სიტყვა ალერსიანი,  
მეც ვიფერებ ყველაფერს,

მაგრამ ვარ სევდიანი.  
 აბესალომ, სიყვარულმა  
 დაგამონა ეთერ ქალსა,  
 მაგრამ ეთერ დაგიმტკიცებს,  
 რომ გადახადა უნდა ვალსა.  
 გულისვარდო, სიყვარული  
 შენი ჩემთვის დანათესი,  
 ძალა არის, რომელიც ჰენავს  
 აღმართს, იყვეს უმაღლესი.  
 აბესალომ, გენაცვალე,  
 რად მიშორებ? რად მეყრები?  
 მე კი შენ არ გიღალატებ,  
 მიყვარდი და მეყვარები!  
 მიჯნურო, თუ შენი გული  
 კიდევ იგონებს ჩემს ტრფობას,  
 შენთანამც მოვკვდე, არ დავსდევ  
 მით ვპოვებ შენთან ერთობას“.  
 რა მოჰრჩა ეთერ სიმღერას,  
 გამოჩნდა მურმანის დედა,  
 ქალვაჟნიც გამოიყოლა  
 ეგონა, ბედი ებედა.  
 დედა, ქალები გარშემო  
 უდგნენ ეთერ ქალს ფერ მოსულს,  
 ვაჟნი კარებთან ჩამწკრივდნენ,  
 იერი უგავთ ხმალ ლესულს.  
 ეთერის მამამთილიცა  
 გველეშაპივით მყლაპავი,

გამოსულიყო ერდოზე,  
 მძიმე სელსა სჯდა მქშინავი.  
 ნაანა თმასა უწნიდა,  
 პირს უკეთებდა ეთერსა,  
 უმღერდა სიხარულითა,  
 დედასა ჰგვანდა მშობელსა:  
 „ქალია, ქვეყნის თვალია!  
 რაო, თუ ქოხში მოსულა?  
 მაგიერ დედოფლად მჯდარა,  
 დლეს ჩემთან რძლად შემოსულა!  
 მშვენება არის ოჯახის,  
 პატივს სცემს დედამთილსაო,  
 მის მზეს იფიცვენ ყველანი,  
 ღიმილი უკრთის პირსაო.  
 ზეცავ, ეთერის მომასწარ  
 ბიჭუნას ოქროს თმიანსა,  
 ლომგულოვანსა, მშვიდფიცხელს,  
 თვალტანადს, პირბაკმიანსა,  
 სახელგანთქმულსა ჭაბუკსა  
 და გონიერსა ბრძენსაო,  
 მამას და ქმარსა ერთგულსა,  
 მამისა მჯობსა ძესაო“.  
 მურმანიც გამოსულიყო,  
 დედას უგდებდა ყურსაო;  
 ოცნება განცხადებოდა  
 ბედის არ უმაღურსაო.

## აბესალომშ და ეთერის ბოლო

აბესალომშა მურმანის  
 კოშკისკენ ჩამოიარა,  
 ამალა ახლდა მეფესა,  
 რახტმაცა გაიწყრიალა.  
 ჰსმენოდა მოსვლა ეთერის  
 ჯანზე ჯადოთი შეკრულსა,  
 ველარ გაეძლო ტანჯვისთვის,  
 ეთერის ნახვა კვლავ ჰსურსა.  
 თვალი მოავლო ეთერშა  
 მეფეს და იმის ცხენსაო,  
 თვალს წარმოუდგა გაყრის დრო,  
 თავს აღარ უდებს სენსაო.  
 „რას ამივლი და ჩამივლი  
 მაგ თოხარიკის ცხენითა?  
 შენ თუ ჩემ ფიცა გადურჩი,  
 ქორწილი ჰქენი რთველითა!  
 შენ, აბესალომ ბატონო,  
 რა ხინჯი ჰნახე ჩემშია?  
 რად დამიწბილნე მაყარნი  
 ქვეყანას უცხო თემშია?  
 ზეცით მოსული გვირგვინი  
 გარიე ჩალა ბზეშია“!  
 „ეთერო, ხინჯი არ იყო



ჩვენგან არც ერთის ხელშია!“  
 სთქვა და მხლებელთა კარავი  
 ცოტა შორს ტყეში გაშალეს;  
 შევიდა აბესალომი,  
 ჰსურს მოსვენება მწუხარეს.  
 მას აქეთია, რაც ეთერს  
 დაპშორებოდა ბატონი,  
 ძილი არ ჰქონდა ბედმლაშეს,  
 არ უკეთებდა გულს ომი.  
 ეთერის საგონებელმა  
 ეხლაც მთლად ტანში მოშალა;  
 თავსა დაადგა ნათია,  
 გაართო, არ ავალალა:  
 „რა არის, შვილო, გმირი ხარ!  
 როდი შეგშვენის ვაება!  
 ნუ თუ ეთერზე სხვა ვინმე  
 კარგი არ მოინახება?  
 აღექ, გასწი, ინადირე,  
 გული გაართე კარშია,  
 რალას მიქვია გმირობა,  
 თუ გულს დაპყვები ჭირშია?!  
 ჰხამს, ლომგმირმა ვაუკაცურად  
 აიტანოს გასაჭირი,  
 თუ არა და გმირობისა  
 ფასი არის მაშინ ჩირი“.  
 აბესალომმა მიჰმართა  
 მაშინ მსახურო უხუცესსა;

უბრძანა მურმანი ეხმო,  
 გაეგზავნა უცხო თემსა:  
 „მურმან მომგვარე, მწადია,  
 ვკითხო ეთერის განგება“.  
 „მურმანო, მეფე გიბრძანებს,  
 მისგან ვარ, მის მაქვს ბრძანება“.  
 უთხრა მსახურო უხუცესმა,  
 მოიკითხა რა ვეზირი:  
 მაშინ მურმანს ელდა ეცა,  
 მშობელთ ამცნო თავის ჭირი:  
 „რადგანაც ვარ მეფის ხელად,  
 უარი არა ეგება;  
 დაჰკრძალეთ კარგად ეთერი,  
 ურჩიეთ ჩემი ყვარება“.  
 მერმე დებსა მიუბრუნდა,  
 სწადდა, იმათვისაც ეთქვა,  
 ეთერ რძალი შეენახათ,  
 მითი სახელი გაეთქვა:  
 „მიუალერსეთ, შეიტკბეთ,  
 გულსა აქვს დიდი ნალველი,  
 უთხართ, ფერი ფერს, მადლი ღმერთს,  
 არ ემცირების სახელი“.  
 ეთერის გამოსალმება  
 სამძიმოდ უჩნდა ვეზირსა,  
 ადგა და უთხრა სურვილით,  
 იორკეცებდა მით ჭირსა.  
 „შემიხვიე, ქალო ეთერ,

ძუძუ მკერდისა ბროლისასა.  
 თუ საომრად მიხმობს მეფე,  
 წვერს დავეგო ისრისასა“.  
 „სამი წელია, მურმანო,  
 არ ვიცი თავის დადება,  
 მოხვალ და მაშინ შეგიხვევ,  
 მინდა ავკარგის გაგება“.  
 „შენი ბრალია, ეთერო,  
 მზის ქონით გრილში ბერება,  
 შენ ამიკრძალე ის წესი,  
 რაც ცოლქმართ შეეფერება“.  
 „პატიებას გთხოვ, მურმანო,  
 ჯერ სხვას მივეც დიდი ალტქმა,  
 გვიღალატე წამლებითა,  
 ვერ გაჰბედე საქმე წალმა.  
 წუთისოფელ დამიმწარე!  
 საბნელოში ვზივარ რათა?  
 ცოლქმრობა წესია, სადაც  
 სიყვარულია სწორათა“.  
 „ნუ შეიხვევ ავსა კაცსა,  
 ნურცა ავის გვარისასა,  
 წავა სწორში და დაიკვეხს,  
 ხვევნას ვიყავ მთვარისასა“.  
 „გავიხდი ქამხა ატლასსა,  
 ჩავიცვამ ბამბა-ბუმბასა,  
 ავიღებ კოკა კუტალსა,  
 წყალს შემოვიტან მდინარსა,



თუ შევალ, ასრე გამოვალ,  
როგორც და თავის ძმისასა“.  
მურმანი გამოეთხოვა  
მეფესთან წარსდგა მორჩილად;  
მსახურთ უხუცესს იახლებს  
მეფე და ჰერიტავს ხმა ტკბილად:  
„მურმან, მურმან, შენსა მზესა,  
შენი ცოლი რა დღეშია?  
ჩემთან იყო იმ ტანჯვაში,  
შენთან არის რა დღეშია?  
მარგალიტი მძივად ვიქეც,  
ეთერ ქალი რა დღეშია?  
გაფურჩქვნილა შვების ვარდი  
დამჭენარა, თუ რა დღეშია?“  
მურმან ეჭვმა აიტანა,  
ვა, თუ მართმევდესო ცოლსა;  
დაფიქრდა და მოახსენა  
მეფეს, სარეცელზე მწოლსა:  
„რას იყითხავ, ცათა სწორო,  
ჩემი ცოლი რა დღეშია?  
შენც გინახავს ბროლის ციხე  
ზეცის როგორ თაღებშია.  
შიგ მიზის ქალი ეთერი,  
ყელი მოულერებია,  
წამწამსა და წამწამ შუა  
ბალი გაუშენებია!  
შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი,

მყაჩარ ყელ-საფეთქელია,  
 ცხვირი სოთი, კბილი მძივი,  
 ბაგე ხახვის ფურცელია.  
 წელ-წერწეტი, მხარბეჭ-ფართე,  
 თეძოს თავი დაბალია,  
 გულმკერდ სავსე, კოკობშლილი,  
 ტანაღობა მაღალია.  
 ეთერ შენ აღარ გიკაღრებს,  
 ქალი ამპარტავანია:  
 პატივში მყავს, მზე ვერ დაჰკრავს,  
 კოშკის გარს გალავანია.  
 ჩემს ეთერსა ვერვინ ჰნახავს,  
 თუ არ მარტო მურმანია,  
 სიკვდილამდის ვერვინ გაგვყრის,  
 გამჩენს ჩემთვის მოუძღვნია.  
 მამამთილი და მაზლები  
 ფარხმლით ჰყვანან კარებშია,  
 დედამთილი თმას უკეთებს,  
 მული პირის ფარეშია.  
 ფეხთით უზის ოსე, ვითა  
 აბრეშუმის საცერია;  
 გვერდით უსხედან მულები,  
 ცის ვარსკვლავის ელფერია.  
 ყელ-ყური მძივით სავსე აქვთ,  
 შიგ ურევია გიშერი,  
 არ შეცდე და არ წახვიდე,  
 თორემ მე ვერას გიშველი”.



აბესალომ სულს მოითქვაშს,

მიერთმევა ქადა მცხვარი;

წამოჯდება და შემოსჭრის,

მისი გემოს მაქებარი:

„რა ლამაზი ხარ, ქადაო,

წვენ გიდგა წურვილივითა,

შეგხვრიტო, გულზე მეწები

ეთერის სურვილივითა“.

სთქვა და აცნობა მურმანსა

საქმე რამ ძნელად საქნარი,

წასულიყო და ომითა

ეცადა თავის იღბალი:

„ინდოეთის მეფე, მურმან,

გვთხოვს საომრად შველასაო,

გასწი ლაშქრით, გვასახელე,

ჯარის უქმად ყოლასაო.

გზიდან უკვდავების წყალსა

ცხრა წყაროსას მომაწვდიდე,

მომიტანდე, შემასმევდე,

ეგებ ცოტა მოვჯობინდე“.

მურმანმა თავი დაუკრა,

ხელმწიფეს გამოესალმა.

დაფიქრდა, იგრძნო, რომ იყო

ის თქმული სიტყვა რამ სარმა:

„ეხლა კი გულმა მაცნობა,

ბედი გექნება მწარეო;

ამაღამდელო ლამეო,



ნუ გათენდები მალეო!  
 მახვიე ბროლის გულმკერდსა,  
 ველარ ვიშოვნი ხვალეო,  
 მაკარი ვარდის ტუჩებსა,  
 ქვლავ კოცნა ველარ ვთვალეო!  
 ძილო, რასა მეძინები  
 რასა დროსა ძილისასა,  
 ხვალ ხომ ლაშქარს მეძახიან  
 პირსა ინდოეთისასა.  
 უკვდავების წყალს ვასმევდე  
 იმ წყალსა ცხრა წყაროსასა;  
 ორლობებსა გავლა უნდა  
 საშიშარსა მტრებისასა,  
 იქ რო ისარსა სტყორცნიან,  
 წვერ დაშხამულს რკინისასა.  
 კოურის მთასა მოვლა უნდა  
 მოსარბენსა ორბისასა,  
 იქ რო ქვას გამოისვრიან  
 მონაგერსა ლომისასა,  
 მომარტყმენ, თავს გამიტეხენ,  
 თავს ამა სპილოს ძვლისასა.  
 ვინც იქ წავა, ველარ მოვა,  
 ვაი დედას იმისასა.  
 აგრეთსა ომსა ამბობენ,  
 ნამტვრევს სტყორცნიან ხისასა“.  
 ნათია დედოფალი ჰერძნობს  
 აბეკალომის ცუდ-ყოფას,

თავს დასტრიალებს სიყმის ძეს,  
ეტყვის, არ იშლის მის ტრფობას:  
„შვილო, ვისი გკლავს სურვილი,  
ვისი გაღვიძებს მძინარსა?  
წავალ და ეთერს აქ მოგგვრი,  
გულზე ჩამოგხვევ მძინარსა“.  
„ადექ, უშტარო დედაო,  
ეთერსა კარსა უარე,  
ჯერეთ ატირდი ბრალადა,  
მერმე თავ შეამპუარე“.  
ნათია მიღის ეთერთან,  
გული დედისა მკვდარია,  
სტირის, რომ წამოიყვანოს,  
დარია, თუ ავდარია:  
„ეთერო, შემოვიარე  
მაგ შენი ციხის მხვარესა,  
გადმოგიხდე, გეძინა,  
შუქი დაგედგა მთვარესა.  
რად არ ჰნახავ შენს დარბაზსა,  
თემურხანის აგებულსა,  
ქამხა ატლასს რად არ ჰნახავ,  
ინდოეთით მოლებულსა,  
აბესალომს რად არ ჰნახავ,  
შენგან დამწვარ დადაგულსა“?  
„არცა ვნახავ ჩემს დარბაზსა,  
თემურხანის აგებულსა.  
არცა ქამხა ატლასს ვნახავ,



ոնքոյետուտ մոլցիշուլսա,  
 արշա զնաեազ ածեսալոմն,  
 չեցուս ալտիմաս ցագասուլսա“!  
 „մոմպազո, ქալու ցուրու,  
 ցագացսոմ ցեցնսա նոթասա,  
 ցուրուածու տվլեցիտ մոկոյշուլ  
 համոցաեթունեց դու սրասա.  
 ցացուցեն ցուետ եալոիհեծսա,  
 ևուլ ցուրուած ցուրուածուսասա,  
 չեց Շեն ցացացլենու, ցուրու,  
 ցուետ ար ճաէկրա վազուսա“.  
 „Ըցըամտուլու, զեր ցամոցպաս,  
 զերշ ցագամսու ցեցնս նոթասա,  
 Ռունըացեցիշուլ პարտահալսա  
 արշ մօմի՛շըս ցուլու սրասա.  
 ցանա Շեն տվուտոն ար ուրու,  
 հոստցուսլա ցինդա հեմու տիմա,  
 չեցուս ճաճցմուլու ցարոցցոնո  
 ցաճուցու, վազունուս արուս եմա“.  
 ածեսալոմտան ճածրունըա  
 նատուա ելլուրույլու  
 ճա մոաեսենա տացուս Շվոլս,  
 ար պարունակու ուրու:  
 „պարնե արուս, տպարունակու  
 տացու մբուրունմա զաւուցու“.  
 „աճեյք, մարուսու ցարսկցունառ,  
 ցուրուու րաս ոյս, մաւունքու“.

საყვარელი ძმის ვედრებას  
 მარიხმა ყური დაუგდო,  
 ადგა, გასწია ეთერთან,  
 წამოეყვანა, - თავს იდო!  
 „მე პატარა გამომგზავნეს,  
 მოვალ პარკის ცერცვივითა,  
 ტანთ გავიხდი ჩარბაზთობას,  
 ნარმით მოვალ გოგოვითა.  
 დავაგდებ ჩარდახობასა,  
 ჩამოვალ დარბაზობასა,  
 ეთერ, არ გებრალებია,  
 რძალს გეუბნები დობასა?  
 გაგივლებ ყაჟ აბრეშუმსა,  
 საჩრდილობელსა მზისასა,  
 ავილებ ბარსა, ნიჩაბსა,  
 გზასა გაგიხვეტ მიწასა.  
 ზედ მარმარილოს გაგიფენ,  
 ფეხი არ წაჰქრა ქვიშასა.  
 ასე წადი და წამოდი,  
 როგორც და მივა ძმისასა.  
 ისეთ სასახლეს აგიგებ  
 სულ პატიოსნის თვლისასა,  
 შიგა შიგ ფიცარს ჩავუყრი  
 აბანოურის ხისასა.  
 ბურთა გინდა? ბურთას მოგცემ  
 ორი ხელით მოტანილსა.  
 ქაშა გინდა? ქაშას მოგცემ,


ოთხი ხელით მოტანილსა.  
 გაზაფხულისა პირზედა  
 გადმოიშურა მაისი,  
 ეთერო, შენი ნახვითა  
 შენ მომირჩინე ძმა ისი.  
 ერთი ძმა მყვანდა, მიკვდება  
 შენი სურვილის ნდობასა;  
 ყელში გავიგდებ დანასა,  
 შენ შემოგაყრი ცოდვასა.“  
 ეთერსა აბესალომზე  
 რა მოუბრუნდა გულია,  
 გამოჰყვა მულსა სურვილით  
 სიხარულ არ ნახულია.  
 „ნეტავი ჩემი ნახვითა  
 მოგირჩებოდეს ძმა ისი.  
 მე რაღა მომკლავს დღეიდან,  
 ნახვისა გავხდი რა ღირსი“?!

რა იცნობს აბესალომი  
 ეთერ ქალისა ფეხის ხმას,  
 წამოიშევა და იტყვის,  
 ხელით ისწორებს თავის თმას:  
 „ვინა სთქვა, ეთერ მოვიდა,  
 მზე დილა გორსა მავალი  
 შემოხდა დერეფანზედა,  
 ბანი შესძრა და ყავარი“!  
 „ავადა ხარ, გვერდზე წევხარ,  
 პირი კედელს გიქცევია;

ଅବା ଏହତି ଶେମନମ୍ବେଦେ,  
ଏହ ରା ଫ୍ରେରି ଦାଗଦେବୀା?  
ଶେବ ଯମାର୍ଥିବିଲ୍ଲ ଧେସିବା,  
ମର, ଦାମ୍ଭ ତାଵିଶାରୀବା,  
ଗାରମନବର୍ଜନଦି, ଗେନାପ୍ରତାଲେ,  
ହେମି ଆରା ଧରାଲିବାଓ“.  
ମାରିବ ବାର୍କ୍ସକ୍ସଲାକ୍ଷମା ଆବରା  
ଦମାସ ମନ୍ଦିରା ଏତେହ କାଳିବା,  
ତମିତ ଦାର୍ଢଗା ଶମରି ଆଲିବା,  
ତମାଲତ ସଦିଲ କୁର୍ରପ୍ରଥାଲି ପ୍ରକ୍ରେମଲିବା。  
”ଦମାମ, ଏତେହି ମନ୍ଦିରା,  
ତୁ ତମାଲକ୍ଷେତ୍ରରେ ଗାନ୍ଧିଶ ନାତେଲି“.  
”ତୁ ମନ୍ଦିରା, ଆଖାପ ଶେମନ୍ଦିରା,  
ପ୍ରକ୍ରିତା ଆଖିଶ ଶେମନିବାସକ୍ଷେତ୍ରରେଲି“.  
”ବିପ୍ରପ୍ରକ୍ରିତା ଗାମିତାରେବୁଲିବା  
ଦାନା ମିଏପିତ ଜାଗାରି.  
ଶେବ ଆର୍ଦ୍ରକ, କାରଶି ଗାମନଦି,  
ରାମ କାର ଶ୍ରୀଲ ଅମନମାଗାଲି“.  
”ମେ କାରଶି ବେଳାର ଗାମନଦି,  
ଚିତ୍ତିବିଦା ଶ୍ରୀଲି ମତାଗାରି“!  
”ମେ ଶିନ ବେଳାରା ଶେମନ୍ଦିରା,  
ମାତ୍ରିଲତ ଦାମାଦାର୍ଗେ ମରାଗାଲି“.  
”ଏତେହି ଶ୍ରୀମନ୍ଦିରାର ଗାରଜିଲା,  
ବାର ସାଇଜିବା ଶ୍ରୀମନ୍ଦିରି;  
ଗାମହିନ୍ଦିରା ଉଦ୍ଧରଣାନ୍ଦିବିଦି  
ଗତିବ ବିଶିରିବା, ମାରତିର ସାମାଲି;  
ଏତେହିବା ଆଖି ମନ୍ଦିରିବାତମିବି



ცხენი მიართვით საღარი,  
 უკან რო კვიცი მოსდევდეს  
 გავა სქელი და მაღალი“.  
 ეთერი აბესალომის  
 საცოდაობამ შეჰზარა,  
 პირველი ტრფობის ალმურმა  
 დასწვა, ჭყუაზე შეშალა.  
 გრძნობის მორევში ჩავარდა,  
 ვერ შეიმაგრა თავია,  
 ბოლოს მიჯნურის სარეცელს  
 დაადგა, სთქვა უარია:  
 „ცხენი არ უნდა ეთერსა,  
 არსად არ მიემგზავრება,  
 მოჰქედე უკანასკნელად,  
 შენთვის არ აკლდა წვალება“!  
 „გილალატე, ქალო ეთერ,  
 ჭირ ჩემს თავს მივეც მრავალი;  
 რო მკლავდა შენი სურვილი,  
 ვინ იყო ჩემი წამალი?  
 ეთერო, დაჰსენ ძუძუნი,  
 ჩემთან შენც დასომე თავია,  
 ცოცხალსა მურმან ვეზირსა  
 მე გირჩევნუყო მკვდარია“.  
 „ვერ დავსომე ჭირთა თმენაო,  
 უშენოდ არ მაქვს ლხენო,  
 მე შენეული დანაო  
 უბეში მიძევს განაო,



ამოვილებ და დავიცემ  
 მარცხენა ძუძუსთანაო,  
 პირი ჩემკენა, ტარ შენკენ,  
 ზედ დაგაკვდები თანაო“!  
 სთქვა და დაიცა გულს დანა,  
 დაცა აბესალომსა,  
 იმასაც სული ამოხდა  
 ტრფობისგან გულ დანაწომსა.  
 ზარი გაისმა გლოვისა,  
 გულშემზარავი კაცისა,  
 მოთქმა იყო და გოდება  
 ისე, ვით გრგვინვა ზეცისა:  
 „აბესალომ და ეთერი  
 ლმერთმა შეჰყარა ერთფერი,  
 მზის დღესა შეყრით მიჯნური,  
 მთვარის დღეს გაყრით მზე ბნელი“!  
 საბრალო დედა სტიროდა,  
 თვალთა ცრემლ დანაგუბარი.  
 ბოლოს მოზარეთ ილოცეს,  
 სთქვეს სულის შესანდობარი:  
 „მათი სული ქვეყნად ერთი,  
 ტანჯული და წამებული,  
 ზეცაშიაც ერთი იყვეს,  
 მიენიჭოს სიხარული“.  
 აბესალომს და ეთერსა  
 მიწასამც მიაყრიანო,  
 მათ საფლავს ია და ვარდი

ფოთოლსამც გადაჭრლიანო.  
 მათ ოვეით ციფი წყაროა,  
 შიგ ოქროს თასი ღვიანო,  
 შამავალ-გამავალ მგზავრნი  
 შენდობას ეტყოდიანო.  
 ბელიარ ეშმაკს საფლავი  
 ტრფიალ ქალ-ვაჟთა უნახავს,  
 შესცოდებია მათ ბედი  
 და უთქვამს ოვალით გამლალავს:  
 „რა მშვენივრები ჰსვენიან!  
 ისევე ადგებიანო?  
 ადგომა წესიმც ნუ არის,  
 სულითამც ცხონდებიანო“.  
 ინდოეთიდან დაბრუნდა  
 მურმანი ომ გადახდილი,  
 თავ დაიმარხა ცოცხლადვე,  
 რა სცნა ეთერის სიკვდილი.  
 ორგულ ვეზირის საფლავზე  
 ეკალნიმც იქნებიანო,  
 ვირნიმცა მოსძოვდიანო,  
 ლექვნიმცა იყეფიანო.  
 ია და ვარდი რა ურფერთ  
 მოხვევნად იხრებიანო,  
 ეკალნარიმცა გაჩნდების  
 და შუა იყოფიანო.



რედაქტორი რ. გვეტაძე  
ტექნიკ. შ. დემეტრაძე

გად. წარმ. 13/X 1938 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭ.  
16/X — 1938 წ. ტირაჟი  
4.000; წიგნ. ზომა 4 × 7  
ფორმის რაოდენობა  $3\frac{1}{2}$   
შეკვეთის № 574; მთავლი-  
ტის რწმ. № ე. 2067

\* \*

გამომცემ. „ფედერაცია“-ს  
სტამბა. თბილისი, პლესა-  
ნოვის პროსპ. № 181.

୩୩୬୦ ୨ ୪୩୬.



୪୩୬